წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის 3 დეკემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“–ს შექმნის, შემადგენლობისა და წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული 2021 წლის 3 დეკემბრიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“–ს შექმნა, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – გიორგი ფაჩუაშვილი; მოადგილეები - ვლადიმერი ხურცია, ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე.; წევრები - თეიმურაზი ჭეიშვილი, მაკა ჭელიძე, არჩილი ღიბრაძე, გიორგი დოლიძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, ლევანი ჩანქსელიანი, კობა გურეშიძე, იასონი ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, დევი დოლაბერიძე, სერგო კირკიტაძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, რევაზი დიდავა, შალვა კილაძე.
2. დამტკიცდეს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წესდება (თან ერთვის).
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი,კუპრაძის ქ.№11).

მოამზადა:

მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის

უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი — გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 3 დეკემბრის №_ _ განკარგულების
დანართი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“–ს

წ ე ს დ ე ბ ა

თავი I. საკრებულოს ფრაქციის დაფუძნება და სტრუქტურის ფორმირება

მუხლი 1.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (შემდგომში - ფრაქცია) იქმნება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2.

ფრაქციის სახელწოდებაა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. იგი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, საკრებულოში მათი მუშაობის კოორდინაციის მიზნით.

მუხლი 3.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრს უფლება არა აქვს გაწევრიანდეს სხვა ფრაქციაში.

მუხლი 4.

ფრაქცია შექმნილად ჩაითვლება, თუ მასში გაერთიანდა სამი წევრი მაინც. ფრაქცია სტატუსს იძენს მისი შექმნის შესახებ, რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 5.

საკრებულოს ნებისმიერ წევრს, წარდგენილი მ.პ.გ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“, უფლება აქვს, ამ წესდებით დადგენილი წესით გაერთიანდეს ფრაქციაში ან დასაბუთების გარეშე გავიდეს ფრაქციიდან.

მუხლი 6.

ფრაქციას უფლება აქვს ამ წესდებით დადგენილი წესით, საჭიროებიდან გამომდინარე, მიიღოს ახალი ან ფრაქციიდან გარიცხოს მოქმედი წევრი.

მუხლი 7.

ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მოადგილეს (მოადგილეებს), რომლებიც ინფორმაციით მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს.

მუხლი 8.

ფრაქციაში ახალი წევრის მიღების, ფრაქციიდან წევრის გარიცხვის ან გასვლის და წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ფრაქცია დაუყოვნებლივ აცნობებს საკრებულოს შესაბამის კომისიას.

თავი II. ფრაქციის უფლებები, მიზნები და ამოცანები

მუხლი 9.

9.1. საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვს:

ა) გაატაროს საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებით მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილებები საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების შესახებ;

გ) ცვლილებები შეიტანოს ფრაქციის წესდებაში; ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით აირჩიოს და გადაირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;

დ) მიიღოს გადაწყვეტილებები ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებით, მოისმინოს ფრაქციის წევრთა ინფორმაცია, მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისა და მათ მოსაგვარებლად გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობებზე;

ვ) გადაწყვიტოს ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტების გამოყენების საკითხები;

ზ) მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს სამართლებრივი აქტების პროექტები;

თ) საკრებულოს ყველა კომისიასა და დროებით სამუშაო ჯგუფში შეიყვანოს ფრაქციის ერთი წევრი მაინც;

ი) საჭიროების შესაბამისად, დააყენოს საკითხი საკრებულოს რიგგარეშე სხდომების მოწვევის შესახებ. ასევე მოითხოვოს ცალკეულ საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა;

კ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს მიერ შექმნილ ორგანოებსა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

ლ) საკრებულოს კომისიებში და საკრებულოს სხდომებზე გამოთქვას თავისი მოსაზრება საკრებულოს ასარჩევ, დასანიშნ, დასამტკიცებელ ან იმ კანდიდატურის თაობაზე, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო.

მ) წელიწადში ერთხელ მაინც, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის მოხსენება, გაწეული მუშაობის შესახებ;

ნ) გამოაქვეყნოს თავისი თვალსაზრისი საკრებულოს საინფორმაციო საშუალებებში;

ო) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

9. 2. ფრაქციის გადაწყვეტილებით, ფრაქციის მიერ წარდგენილ წევრს (გარდა საკრებულოს კომისიის ან დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარისა), საკრებულოს ორგანოებში უწყდება საქმიანობა მისი ფრაქციიდან გარიცხვის, გასვლის ან ფრაქციის მიერ ამ ორგანოებიდან მისი გამოწვევის შემთხვევაში. ფრაქციას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს მის მიერ წარდგენილი წევრი ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც წერილობით აცნობებს შესაბამისი კომისიის (დროებითი სამუშაო ჯგუფის) თავმჯდომარეს.

9. 3. ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა საკრებულოს კომისიებში და დროებით სამუშაო ჯგუფებში განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, საკრებულოს მიერ დადგენილი წარმომადგენლობის კვოტებით.

9. 4. ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობის შეცვლის შემთხვევაში, ფრაქცია უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში ფრაქციის წამომადგენლობის პერსონალური საკითხები.

9. 5. ფრაქციის წარმომადგენელს საკრებულოს სხდომაზე გააჩნია სიტყვით გამოსვლის უპირატესი რიგითობა, სხვა წევრებთან შედარებით.

თავი III. ფრაქციის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 10. ფრაქციის თანამდებობის პირები და საქმიანობის ორგანიზაცია

10.1.ფრაქციის მმართველობის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

10.2. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა.

10.3. ფრაქციის სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის წევრთა შემადგენლობის უმრავლესობას წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

10.4. ფრაქციის სხდომის დღის წესრიგს ადგენს და ფრაქციის სხდომას დასამტკიცებლად წარუდგენს ფრაქციის თავმჯდომარე.

10.5.ფრაქციის დღის წესრიგი მტკიცდება ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

10.6. დღის წესრიგში ცვლილებების (საკითხის ამოღება, დამატება ან მოდიფიცირება) შეტანის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის წევრს.

10.7. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ფრაქციის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა შემადგენლობის უმრავლესობით.

10.8. ფრაქციის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს საჯარო ან დახურული სხდომა.

10.9. ფრაქციის წევრი ვალდებულია:

10.9.1. მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის საქმიანობაში;

10.9.2. დაიცვას ფრაქციის წესდება;

10.9.3. შეასრულოს ფრაქციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

10.9.4. არ განახორციელოს ფრაქციის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედება.

10.10. ფრაქციის წევრს უფლება აქვს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, შესაბამისი წერილობითი განცხადებით, ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან.

10.11. ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის წევრის მოთხოვნის საფუძველზე სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გარიცხოს ფრაქციის წევრი ფრაქციის შემადგენლობიდან თუ:

10.11.1. მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის მიზნებს;

10.11.2. არასაპატიო მიზეზით არღვევს ფრაქციის წესდებას.

10.12. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის რეგისტრაციამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს.

10.13. ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის წევრს.

10.14. ფრაქციის თავმჯდომარე:

10.14.1 ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას;

10.14.2 წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში და მის გარეთ;

10.14.3 წარმართავს ფრაქციის სხდომებს და ხელს აწერს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას;

10.14.4. ხელს აწერს ფრაქციის ოფიციალურ დოკუმენტაციას;

10.14.5. ახორციელებს კანონმდებლობითა და ფრაქციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

10.15. ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება აქვს, შესაბამისი წერილობითი განცხადებით, ნებისმიერ დროს გადადგეს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

10.16. ფრაქცია უფლებამოსილია ფრაქციის წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გადააყენოს ფრაქციის თავმჯდომარე.

10.17. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის რეგისტრაციამდე ფრაქციის წევრთა შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს).

10.18. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის წევრს.

10.19. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:

10.19.1. ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის დავალებებს;

10.19.2. ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს.

10.19.3. ფრაქციის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფრაქციის გადაწყვეტილებით, ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

10.20. ფრაქცია უფლებამოსილია ფრაქციის წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, წევრთა შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, გადააყენოს თანამდებობიდან ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

თავი IV
ცვლილებები და დამატებები ფრაქციის წესდებაში

მუხლი 11

11.1. ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის წევრს.

11.2. ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებ ას იღებს ფრაქციის სხდომა, თუ აღნიშნულს მხარს დაუჭერენ ფრაქციის წევრები ერთხმად.

თავი V.
ფრაქციის გაუქმება

მუხლი 12.

ფრაქცია შეიძლება ლიკვიდირებულად გამოცხადდეს, თუ მისი გაუქმების შესახებ წინადადებას დააყენებს ფრაქციის სიითი შემადგენლობის 1/3 მაინც და მას მხარს დაუჭერს სიითი შემადგენლობის 2/3 მაინც.

მუხლი 13.

თუ ფრაქციიდან წევრის გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში დარჩა საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საკრებულოს შესაბამის კომისიას, შემდგომი რეაგირების მიზნით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის 3 დეკემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–ს შექმნის, შემადგენლობისა და წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული 2021 წლის 3 დეკემბრიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–ს შექმნა, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – მამუკა საღარეიშვილი; მოადგილეები: სალომე ჯიმშელეიშვილი, დავით ხიდეშელი, ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე. წევრები: ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, გალაქტიონ ხარაბაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი.
2. დამტკიცდეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–ს წესდება (თან ერთვის).
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი,კუპრაძის ქ.№11).

მოამზადა:

მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის

უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი — გელა თათარაშვილი

445